საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ატენის ბრძოლა

ატენის ბრძოლა 1724, ქართველთა ლაშქრის ბრძოლა ოსმალ დამპყრობთა წინააღმდეგ. 1724 ქართლში ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ დიდი აჯანყება დაიწყო. აჯანყებულებმა კახეთის მეფეს კონსტანტინე II-ს მიმართეს, რათა იგი სათავეში ჩასდგომოდა აჯანყებას. კონსტანტინე II კახთა, თუშთა და ფშავ-ხევსურთა ლაშქრით ქართლში მივიდა. აჯანყებულთა ლაშქარი 10 ათ-მდე კაცს ითვლიდა. აჯანყებულებმა გადაწყვიტეს ჯერ გორის ციხის, შემდეგ კი თბილისის ციხის აღება და ქართლის მტრისაგან მთლიანად განთავისუფლება. ქართლის გამგებელმა რეჯებ-ფაშამ გორის მეციხოვნეთა დასახმარებლად ჯარი გაგზავნა ახალციხის ფაშის ისაყ-ფაშას მეთაურობით. 15 სექტ. სოფ. ატენთან (ახლანდ. გორის მუნიციპ-ი) გადამწყვეტი ბრძოლა გაიმართა, იერიშზე თავდაპირველად ქართველები გადავიდნენ და მტერი უკუაქციეს, მაგრამ მოღალატეთა დახმარებით ოსმალებმა საბოლოოდ მაინც მოახერხეს ქართველთა დამარცხება. მტერი აჯანყებულებს სასტიკად გაუსწორდა; დახოცილ ქართველთა თავები თბილისში ურმებით გაუგზავნეს რეჯებ-ფაშას.

ა. ბ-ის შემდეგ ერთგვარი შესვენება დაიწყო ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში, რათა ძალები მოეკრიბათ და შემდეგ ხელახლა შეეტიათ დამპყრობლისათვის.

წყარო: გურჯი-ზადე, თბილისის დაპყრობის წიგნი. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლითა და შენიშვნებით გამოსცა ც. აბულაძემ, თბ., 1975; ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის *გამოც.*, ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 2, თბ., 1965; ს ვ ა ნ ი ძ ე მ., ატენის ბრძოლის ზოგიერთი საკითხის დაზუსტებისათვის თურქული წყაროების მიხედვით, კრ.: საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები, [ტ.] 2, თბ., 1979.

მ. სვანიძე